დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 31 იანვრის N1 სხდომაზე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დასაფინანსებელი პროექტების უნივერსიტეტისთვის წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1.ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში იმ დასაფინანსებელი პროექტების წარდგენის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს, რომელიც წარმოადგენს ახალ ინიციატივას როგორც კომერციული, ასევე სამეცნიერო განვითარების თავლსაზრისით;

2.საინიციატივო პირი (ჯგუფი), რომელსაც სურს დაფინანსების მოპოვება, განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

3. საინიციატივო პირმა (ჯგუფმა) პროექტის განხილვის შესახებ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს განცხადებით უნდა მიმართოს დასაფინანსებელი პროექტის განხორციელების დაწყებამდე არა უგვიანეს 1 თვისა;

4. ყველა სახის პროექტი წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი სახით და უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების შესახებ კანონს, უნივერსიტეტის წესდებას და მოიცავდეს:

ა) ინფორმაციას განმცხადებლისა და შემსრულებლის შესახებ;

ბ) პროექტის სახელწოდებას;

გ) პრობლემის განსაზღვრას;

დ) პროექტის მიზანსა და ამოცანებს;

ე) პროექტის შესრულების განრიგს;

ვ) პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასა და მოსალოდნელ შედეგებს;

ზ) რისკების ანალიზს;

თ) პროექტის მდგრადობის სტარტეგიას;

ი) ბიუჯეტს;

კ) რეკომენდაციებს;

ლ) დამატებით ინფორმაციას (დანართების სახით);

5. საინიციატივო პირის (ჯგუფის) განცხადება და პროექტი განსახილველად გადაეცემა სპეციალურ კომისიას;

6. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, საფინანსო სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, შესყიდვების სამსახურის უფროსი, ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალი.

7. კომისიის თავმჯდომარე არის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

8. საინიციატივო პირს (ჯგუფს) უფლება აქვს, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე კომისიის სხდომის დაწყებამდე გააკეთოს პროექტის პრეზენტაცია;

9. ამ წესის მერვე პუნქტით განსაზღვრული უფლების გამოყენების შემდეგ იწყება კომისიის დახურული სხდომა;

10. ყველა პროექტზე დგება კომისიის ოქმი;

11. ყველა პროექტზე, რომელიც საჭიროებს დაფინანსებას 50 ათასი ლარით ან/და მეტი ოდენობით, კომისიის მიერ იწერება დასკვნა;

12. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კომისიის დასკვნას წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

13. გადაწყვეტილებას პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით იღებს წარმომადგენლობითი საბჭო;

14. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საინიციატივო პირს (ჯგუფს) უნდა ეცნობოს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში.